საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი

899.362.1(03)
ს-369

ხელნაწერის უფლებით

მაკა რევაზის ასული სახურია

კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“

10.01.01. – ქართული ლიტერატურა

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1999

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უახლესი (XX საუკუნის) ქართული ლიტერატურის განყოფილებაში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი შალვა ჩიჩუა.

ე ქ ს პ ე რ ტ ი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი ლომიძე

ოფიციალური ოპონენტები: 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სოსო სიგუა
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ბელა წიფურია

წამყვანი ორგანიზაცია სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის 27 მაისს 12 საათზე შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს (P.10.01C N3) სხდომაზე.
მისამართი: 380008 თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №5

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში

ავტორეფერატი დაიგზავნა 1999 წლის 27 აპრილს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი: /ა. არაბული/

-1696-

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა: კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“ 1915-1924 წლებში იქმნებოდა. რომანის ფაქტურის ასაგებად ავტორმა გამოიყენა დროის ამ მონაკვეთში ევროპისა და საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სულიერ ცხოვრებაში მიმდინარე რთული, დაძაბული და საინტერესო მოვლენები, რომელთა თვითმხილველიც იყო თავად.

ახალგაზრდა მწერლის განცდები, მისწრაფებები, ბრძოლა, გადაწყვეტილებები და იდეები, რომლებიც შეეხებოდა და გამოხატავდა მის ეროვნულ-რელიგიურ პოზიციას, მწერლურ კრედოს, მართლაც აირეკლა და მხატვრულად გარდაისახა „დიონისოს ღიმილში“. თავისებურად გამოიკვეთა ავტორის მრწამსი, რომელიც მას არასოდეს შეუცვლია და რასაც მთელი შეგნებით ემსახურებოდა მხატვრული სიტყვის სამყაროშიც და საზოგადოებრივ ასპარეზზეც.

სასურველი უმნიშვნელოვანესი იდეების გამოსაკვეთად მწერალმა მოიშველია ექსპრესიონისტული სტილისთვის დამახასიათებელი სიმბოლურ-ალეგორიული გამოსახვის პრინციპი, რაც მოითხოვდა იდეათა მისტიფიკაციას, ტექსტის სიმბოლოებით „დაშიფვრას“. გადმოცემული იდეები საბჭოური ცენზურისა და იდეოლოგიური წნეხის ხელში რეალისტური მანერით ვერ გამოითქმებოდა კონიუნქტურული მიზეზების გამო.

ასახული პრობლემები და მწერლის იდეები დღემდე ინარჩუნებენ აქტუალობას და სიცოცხლისუნარიანობას. რომანის ანალიზის საშუალებით შესაძლებელი ხდება მწერლის იდეების ნათელყოფა. ამიტომაც აუცილებლობა მოითხოვს ამ ალეგორიული ხასიათის რომანის სიღრმისეულ მხატვრულ შრეებში წვდომას, ახლებურად წაკითხვას, მოდერნისტული რომანის პოეტიკის მიხედვით გაანალიზებას, მწერლის შეფარული იდეების გამოვლენას, ეპოქალური კატაკლიზმებისადმი მისი დამოკიდებულების გამომზეურებას.

საბჭოთა ეპოქის ლიტერატურაში ერთადერთ მეთოდად სოცრეალიზმის დამკვიდრებისა და მხატვრული პროდუქციის კვლევაშიც